საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/199

ქ. ბათუმი 24 აპრილი, 2020 წ.

,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამაზე ,,თერაპიული სტომატოლოგია" სპეციალობის მაძიებლების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 აპრილის N01-08/183 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135 /ნ ბრძანების და ,,საექიმო სპეციალობათა, სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის წერილების (№.02/25719, 16.05.2019წ.), ,,ბსუ-ს სარეზიდენტო/პროფესიული მზადების პროგრამების განსახორციელებლად მოსაწვევ პერსონალთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის ბრძანების (N01-02/19, 22.02.2019წ), ,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის მსმენელთან დასადები ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის ბრძანების (N01-02/36, 20.03.2020წ.), ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების (N01-10/36, 10.03.2020წ.), ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომ განათლების (პროფესიული მზადების)პროგრამებზე "თერაპიული სტომატოლოგია", ,,ორთოპედიული სტომატოლოგია", სპეციალიზაციის კურსის პროგრამაზე ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" და გადამზადების პროგრამაზე "ორთოპედიული სტომატოლოგია" მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 24 იანვარის №01-02/10 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მ. ბაქრაძის 2020 წლის 1 აპრილის მოხსენებითი ბარათისა (№.323993), სპეციალობის მაძიებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2020 წლის 25 მარტს დამტკიცებული N123/ო ბრძანების N15 დანართის და სტომატოლოგიის დარგობრივი

დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მზია ბაქრაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 20 00346226 23/04/2020) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამაზე ,,თერაპიული სტომატოლოგია" სპეციალობის მაძიებლების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 აპრილის N01-08/183 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. წინამდებარე ბრძანებით ჩარიცხული პირებისათვის სასწავლო პროცესი წარიმართოს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის ამოწურვის შემდეგ ან/და საგანგებო მდგომარეობის პირობებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად შემდეგ მოდულებზე:

მოდული / მოდულზე პასუხისმგებელი პირები	შესრულების ხანგრძლივობა
მოზრდილთა და ბავშვთა ოპერაციული ოდონტოლოგია და კბილთა რესტავრაცია (მოდულზე პასუხისმგებელი პირები: ფრიდონ ჯაფარიძე და მარინე გათენაძე).	ოთხი თვე
მოზრდილთა და ბავშვთა ენდოდონტია (მოდულზე პასუხისმგებელი პირები: ფრიდონ ჯაფარიძე და მარინე გათენაძე).	ოთხი თვე
მოზრდილთა და ბავშვთა პაროდონტოლოგია და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები	სამი თვე

2. წინამდებარე ბრძანებით ჩარიცხულ მსმენელთა/სპეციალობის მაძიებელთა და შესაბამისი მოდულების ხელმძღვანელთა ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი პროგრამის ხელძღვანელმა (დაეგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე).
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების ხელმძღვანელებს, კლინიკას ,,ბსუ დენტი", საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**